

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში

წარმოგიდგინთ ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ:

საანგარიშო პერიოდში, საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, სსიპ - წიაღის ეროვნულ სააგენტოში შემოსულია 526 განცხადება. აღნიშნული 526 განცხადებიდან სრულად დაკმაყოფილდა 504 განცხადება, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 9, ხოლო 13 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნას და შესაბამისად, მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს ადგილი არ ჰქონია.

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამსახურის მოწვეული სპეციალისტი - თამარ მახარაძე (სსიპ - წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 30 იანვრის 59/ს ბრძანებით). მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ზემოაღნიშნული პირი.

კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ:

სააგენტოში ფუნქციონირებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (დეს), სადაც მონაცემთა ბაზის შექმნა ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სააგენტოს მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის პროცესი მიმდინარეობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების შესახებ;

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხიმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას ადგილი არ ჰქონია, ხოლო საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივ გაცემის საფუძველს წარმოადგენდა:

- “წიაღის შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლი (საკუთრება წიაღის შესახებ ინფორმაციაზე);
- „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 39-ე მუხლი (საგადასახადო საიდუმლოება).
- „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 136 დადგენილების მე-3 მუხლის, 14¹ პუნქტი (ელექტრონული აუქციონის დასრულებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია).

კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე:

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია.

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ:

ზემოაღნიშნულ ფაქტებს ადგილი არ ჰქონია.